საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 671 2024 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ პროგრამით – „ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია“ – გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**